

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №

ქ. თბილისი

-----/-----/2019 წ.

### დისერტაციის დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს **2019 წლის 4 ივნისის (ოქმი №42)** გადაწყვეტილების საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს დოქტორანტ **ელზა ჯინჭარაძეს** (პირადი №61004054976), რომელიც **2016 წლის 12 ოქტომბრის №3444/05** ბრძანებით ჩაირიცხა სტუ-ის დოქტორანტურაში და რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა - ინფორმატიკა, სადისერტაციო თემა - **„თანამედროვე სიმეტრიული და ასიმეტრიული კრიპტოსისტემების ჰიბრიდული მოდელი“.**

სადისერტაციო კოლეგია:

1. პროფ. ცაბაძე თეიმურაზ, თავმჯდომარე, სტუ;
2. პროფ. იავიჩი მაქსიმ, ხელმძღვანელი, სტუ;
3. პროფ. კვარაცხელია ვახტანგ, რეცენზენტი, სტუ;
4. პროფ. ყავრელიშვილი ავთანდილ, გარე რეცენზენტი, კავკასიის უნივერსიტეტი;
5. პროფ. ტარიელაძე ვაჟა, სტუ;
6. პროფ. გულუა დავით, სტუ;
7. ასოც. პროფ. მაგრაქველიძე დალი, სტუ;
8. პროფ. ავთანდილ გაგნიძე, შავი ზღვის უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი;
9. პროფ. დავით ჩიჩუა, საქართველოს უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი.

2. დისერტაციის დაცვა შედგეს **2019 წლის 22 ივლისს 14<sup>00</sup>** საათზე, სტუ-ის **VI** კორპუსის **309ა** ოთახში.

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი